

შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარო წლისთვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

**შინაარსი**

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	გვ. 2
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	გვ. 3
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები	
და თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	გვ. 4-15

**მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის**

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	5 236 504	4 894 332
გაყიდული მომსახურების თვითღირებულება	13	(3 625 187)	-
<b>საერთო მოგება</b>		<b>1 611 317</b>	<b>4 894 332</b>
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1 410 542)	(4 313 391)
სხვა შემოსავალი/ხარჯი ნეტო	15	362 530	
<b>საოპერაციო მოგება</b>		<b>563 304</b>	<b>(4 313 391)</b>
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	16	(18 475)	
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>544 829</b>	<b>580 941</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	17	(1 334)	-
<b>წმინდა მოგება</b>		<b>543 496</b>	<b>580 941</b>
სხვა სრული შემოსავალი			
<b>სულ</b>		<b>543 496</b>	<b>580 941</b>

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 ივლისს

დირექტორები:

ხათუნა კერესელიძე

მარინე ანდრონიკაშვილი

მარიამი გორგაძე

ია კოჩინაშვილი

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის  
დასრულებული პერიოდისათვის**

(ლარში)

	შენიშ ნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
<b>აქტივები</b>				
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>				
ძირითადი საშუალებები	3	15 047 147	8 026 524	8 012 685
არამატერიალური აქტივები				
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>15 047 147</b>	<b>8 026 524</b>	<b>8 012 685</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>				
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები	5	2 099 605	121 200	98 600
საგადასახადო აქტივი	6	35 686	-	-
პირობითი საგადასახადო აქტივი	7	595 643		
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	1 406 422	1 575 801	1 706 896
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>4 137 355</b>	<b>1 697 001</b>	<b>1 805 496</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>19 184 502</b>	<b>9 723 525</b>	<b>9 818 181</b>
<b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>				
<b>საწესდებო კაპიტალი</b>				
გაუნაწილებელი მოგება		2 132 132	1 877 791	1 877 519
ძირითადი საშუალებების აფასების რეზერვი		13 708 982	6 594 047	6 594 047
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>15 841 115</b>	<b>8 471 838</b>	<b>8 471 566</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>				
გადავადებული შემოსავალი	8	3 238 705		
სესხები პარტნიორებიდან	11	2 464		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	40 434	1 251 687	1 346 615
საგადასახადო ვალდებულებები	10	61 785		
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		<b>3 343 387</b>	<b>1 251 687</b>	<b>1 346 615</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>19 184 502</b>	<b>9 723 525</b>	<b>9 818 181</b>

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 ივლისს

დირექტორები:

ხათუნა კერესელიძე

მარინე ანდრონიკაშვილი

მარიამი გიორგაძე

ია კოჩინაშვილი

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი შემდგომში (კომპანია) რეგისტრირებულია 2011 წლის 17 ივნისს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 404901406 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა სკოლის მოსწავლეებისათვის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ვაკის რ-ნი. ზ. ფალიაშვილის ქ. #42 -ში არსებული სკოლის შენობა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები იყვნენ:

დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი	წილი
შპს სენტ-ეფიუპერის ფრანგულ-ქართული სკოლა	404901031	30%
შპს ჩემი სკოლა	405393952	10%
შპს საერო სკოლა-ლიცეუმი მოძღვარი	404889956	20%
შპს მარი ბროსეს სკოლა	202376071	20%
შპს ა-Z (ანი-ცეტი)	202169063	20%

## 2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

### მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თანხები წარმოდგენილია ქართულ ერთეულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია და შესაბამისად აფასებენ, რომ კომპანიას როგორც ფუნქციონირებად საწარმოს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს 2017 წლისათვის მოქმედი რედაქციით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, მსს ფასს-ში შეტანილი სარედაქციო ცვლილებები ზეგვალენას ვერ მოახდენს საანგარიშო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შეფასების ვალუტა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილია ლარში („ლარი“) ფუნქციონირებადი ვალუტა თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანსაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად.

2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	USD	EUR
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.702	2.8844
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	3.4228

## ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულების პირველადი შეფასება ხდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით), ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სხვა საწარმოზე გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით, მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით.

აღიარების შემდგომი შეფასება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავალო ინსტრუმენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე. ფასდება თვითღირებულების გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალების რეზერვების გამოყენებით შემცირებით.

აქტივების თვითღირებულება გაიანგარიშება აქტივების შექმნის ან შექმნის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალურ ღირებულების თანხით.

რეალური ღირებულება ფასდება თანხით, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

ამორტიზებული ღირებულება - თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარებისას ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხების გამოკლებით.

მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ. საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამოწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

ხელშეკრულების პირობების დარღვევა, გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება არ შეიძლება დაკავშირებული იყოს ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან.

მხარეს გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, რაც დასტურდება კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;

როდესაც მოსალოდნელია, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი;

კომპანია დებიტორის ფინანსურ სიმწიფეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია.

გაუფასურების კუთხით ერთობლივი წესით შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებზე მიღებული ზარალის ისტორიული მონაცემების საფუძველზე. ზარალის ისტორიული მონაცემების კორექტირება ხდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე არსებული პირობების გავლენა, რომელთაც მანამდე გავლენა არ

მოუხდენიათ ზარალის ისტორიულ მონაცემებზე, და ასევე არ იქნას გათვალისწინებული გამოცდილების საფუძველზე დადგენილი ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. . სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების შესწორება ხდება რეგულარულად, მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირების მიზნით .

გაუფასურების შემდგომ პერიოდში ადგილი ექნება აქტივის გაუფასურების ზარალის თანხის შემცირებას რაც დაკავშირებული იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილ გაუფასურების ზარალს რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა** კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

მოუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, შეუძლია ამ შესაძლებლობის გამოყენება ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გამო.

**ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება იფარება, უქმდება ან ვადა გასდის.

კომპანია დაფარულ ან სხვა მხარისათვის გადაცემულ ფინანსურ ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და ალბულო ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობას ასახავს მოგება-ზარალში. **გადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადარფარული და ნეტო თანხითა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება , რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

#### **ფული და ფულის ეკვივალენტი**

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე.

#### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის შედეგად მყიდველებისაგან მისაღები თანხები. აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

მოთხოვნების წმინდა ღირებულებით ასახვისათვის ტარდება მოთხოვნების ანალიზი მათი წარმოშობის ვადების მიხედვით და ერიცხება საეჭვო ვალების რეზერვი.

მოვალეობის უმრავლესობაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო ინფორმაციის არსებობისა და კომპანიის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, სავარაუდო ზარალის შეფასება არსებითად განსხვავებული არ იქნება შემდგომში რეალური მოცულობისგან.

#### **ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**

ძირითადი საშუალებები გარდა შენობა-ნაგებობებისა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულების მოდელით: თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას, გარდა შენობა-ნაგებობებისა აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება გარდა შენობა-ნაგებობებისა ხდება თვითღირებულების მოდელით.

შენობა-ნაგებობები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გადაფასების მოდელით: (რაც გადაფასების მომენტისათვის მისი რეალური ღირებულების ტოლია). შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. იმის გათვალისწინებით რომ გადაფასება ჩატარდება რეგულარულად, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა ნაგებობები	30-40
სასკოლო ავეჯი და სხვა ინვენტარი	10-20
კომპიუტერები და სხვა სასკოლო აღჭურვილობა	10-15
სატრანსპორტო საშუალებები	6-10
არამატერიალური აქტივები	6-15

გარდა შენობა-ნაგებობებისა ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურების ინდიკატორს, რათა უზრუნველყოს, რომ აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახოს ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტი თანხა. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება აქტივის, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით.

გარდა შენობა-ნაგებობებისა საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამის პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

კომპენსაცია, რომელიც საწარმოს მისაღები აქვს შესამე მხარეებისაგან, დაზიანების, დაკარგვის ან გაცემის შემთხვევაში, მოგება/ზარალში ამ მოთხოვნის წარმოშობის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის შედეგად შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების

გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. შედეგი აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, რომელშიც ადგილი ქონდა აღიარების შეწყვეტას.

შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან ანაზღაურებად ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივის აღიარებ ახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც: ა) მაღალია იმის ალბათობა, რომ საწარმო მიიღებს აქტივიდან მოსალოდნელ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; და ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმომ აფასებს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის ალბათობას გონივრული და დასაბუთებელი დაშვებებით, რომლებშიც გათვალისწინებულია იმ ეკონომიკური ვითარების ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული საუკეთესო შეფასება, რომელიც იარსებებს აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. საწარმოში აქტივის საწყისი აღიარების დროს არსებული მტკიცებულების საფუძველზე (გარე მტკიცებულებისთვის უფრო მეტი მნიშვნელობის მინიჭებით) განიხილავს, თუ რამდენადაა მოსალოდნელი აქტივის გამოყენებაზე მიკუთვნებადი

მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.  
არამატერიალური აქტივის საწყისი შეფასება ხდება თვითღირებულებით.

### **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები**

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვას კომპანია ახდენს უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.

საწარმო მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შემენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

### **დაბეგვრა**

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მოგების გადასახადი**

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

საგადასახადო კოდექსით საგანმანათლებლო და მასთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურების მიწოდება, გათავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე, ვინაიდან კომპანიას არ გააჩნია სხვა ტიპის დღგ-თი დასაბეგრი მომსახურების მიწოდება, კომპანია არ არის რეგისტრირებული დღგ-ს გადახდელად.

საშემოსავლო და სხვა გადასახადებს კომპანია იხდის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიანი ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

#### **საკუთარი კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ხდება.

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

#### **ამონაგები**

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როცა მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი, კერძოდ თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშო პერიოდის ბოლოს;

შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო



## დანახარჯების საიმედოდ შეფასება

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად (წრფივი მეთოდით), ამონაგების თანხა განისაზღვრება მიღებული საქონლისა და მოსახურების რეალური ღირებულების მიხედვით. კორექტირება ხდება გადაცემული ფულის ან ფულადი სახსრების ექვივალენტის თანხით. თუ შეუძლებელია მიღებული საქონლის და მომსახურების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, ამონაგების თანხის ფასდება გაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემდგომ კორექტირდება მიღებული ფულის ან ფულადის სახსრების ექვივალენტების თანხის მიხედვით.

კომპანია საქმიანობს მოსწავლეთათვის სწავლების მომსახურების მიწოდების ბიზნესში.

მოსწავლეებს სთავაზობს სასწავლო პროცესს რამდენიმე მომსახურების ნაკრების სახით, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არეგულირებს, ასევე დამატებით მომსახურებებს, რომლებსაც კომპანიის ხელმძღვანელობა შესაბამისად მიიჩნევს. იმის შეფასების შემდეგ, თუ რა შემავალი რესურსებია საჭირო კომპანიისთვის კომბინირებული ნაწარმის - სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს გაკვეთილებს, გამოცდებს, ტესტებს და შესაბამის მასალებს, ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, გახანგრძლივებულ სასწავლო საათებს. ეს მომსახურებები ერთდროულად ქმნიან საქონლისა და მომსახურებების განცალკევებულ ნაკრებს, რომლებიც ქმნიან შემოსავალს სწავლების ღირებულების სახით. სწავლების ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში სწავლების თვეების შესაბამისად.

შესრულების ვალდებულება წარმოადგენს განსხვავებულ საქონელს ან მომსახურებას (ან საქონლის ან მომსახურების პაკეტს) ან განსხვავებული საქონლის ან მომსახურების რიგს, რომლებიც არსებითად ერთიადიგივეა. კონტროლის გადაცემა დროთა განმავლობაში ხდება და ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება შესაბამისი შესრულების ვალდებულების სრული დაკმაყოფილებისკენ მიმავალი პროგრესის გათვალისწინებით, თუ რომელიმე შემდეგი კრიტერიუმია დაკმაყოფილებული:

მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიის საქმიანობით გათვალისწინებულ სარგებელს, კომპანიის საქმიანობის შესრულებასთან პარალელურად;

კომპანიის საქმიანობა ქმნის ან აძლიერებს აქტივს, რომელსაც მომხმარებელი აკონტროლებს კომპანიის საქმიანობის შესრულებისას; ან

კომპანიის საქმიანობის შესრულება არ ქმნის აქტივს კომპანიისთვის ალტერნატიული გამოყენებისთვის და კომპანიის გააჩნია ვადაში დასრულებული საქმიანობის შედეგებისთვის გადახდის მიღების იურიდიულად გამყარებული უფლება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ამონაგები აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს განსხვავებულ საქონელზე ან მომსახურებაზე.

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას მომხმარებელს გადასცეს ის საქონელი ან მომსახურება, რომლისთვისაც კომპანიამ მიიღო ანაზღაურება (ან ანაზღაურება მისაღება) მომხმარებლისგან.

ხელშეკრულების აქტივი და ხელშეკრულების ვალდებულება, რომელიც ეხება ერთსა და იმავე ხელშეკრულებას, აღირიცხება და წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე.

შემდეგი მოსაზრებები მნიშვნელოვანია შემოსავლების კონკრეტული ნაკადებისათვის:

სწავლების შემოსავალი. კომპანიის ხელშეკრულებას კლიენტებთან ერთწლიანი ვადა აქვს, ავტომატურად გახანგრძლივების ფუნქციით. სკოლას არ აქვს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება და იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ გახანგრძლივებს ხელშეკრულებას, ჯარიმა არ ირიცხება, შესაბამისად, კომპანიას მიაჩნია, რომ ხელშეკრულების თითოეული გახანგრძლივება ცალკე ხელშეკრულებას წარმოადგენს.

შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვაუჭერებს ყველა ლიცენზირებულ სკოლას ურიტებს. წლიური თანხა 300 ლარია თითო მოსწავლეზე და იგი ნაწილდება ყოველი თვის ბოლოს, როდესაც შესრულების ვალდებულება უკვე დაკმაყოფილებულია და შესაბამისი შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან აღიარებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

სახელშეკრულებო ვალდებულებები.

მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები, იქამდე, სანამ კომპანია საქონელზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, აღიარებულია, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებები. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არის კომპანიის ვალდებულებები გადასცეს ის საქონელი და მომსახურება მომხმარებლებს, რისთვისაც კომპანიამ მიიღო ანაზღაურება.

## სხვა შემოსულობა

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

## ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც არ არის დაკავშირებული მის ძირითად საქმიანობასთან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების ბსაფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის ღირებულების მოთხინისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## იჯარა

კომპანია ახდენს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსური და საოპერაციო იჯარად. ფინანსური იჯარის დროს უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარდება როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულებასა და გაანგარიშებულ მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების განაწილება პირობითი საიჯარო გადასახდელებად და დაუფარავ ვალდებულებად ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

საოპერაციო იჯარის დროს საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ხარჯის უმეტესი ნაწილი მონაწილეობას იღებს მარაგების თვითღირებულების ფორმირებაში.

## თანამშრომელთა ხარჯები და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, ბონუსები, დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგებლობის დროს.

ვინაიდან საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება არ ნაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

## სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

## ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასულ კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში,

გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გაცვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

### ფინანსური ანგარიშგების სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მუხლები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

#### 3. ძირითადი საშუალებები

	31.12.2021	31.12.2022	31.12.2023
ძირითადი საშუალებები	1 510 873	1 559 719	1 500 412
აფასების რეზერვი	6 594 047	6 594 047	13 708 982
ძირითადი საშუალებების ცვეთა	- 92 235	- 127 242	- 162 248
	<b>8 012 685</b>	<b>8 026 524</b>	<b>15 047 147</b>

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: 102022427384 16/09/2022 12:20:40  
შპს შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი ს/ნ 404901406  
საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება  
საფუძველი: შეტყობინება, N00645993, 16.09.2022, შემოსავლების სამსახური  
მომრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის

კომპანია იყენებს მიწისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ჯგუფის მიმართ გადაფასების მეთოდს, რაც გულისხმობს სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ ბაზარზე არსებული ცვლილებების შესაბამისად დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შეფასებას. ბოლო გადაფასება მოხდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

#### 4. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2021	31.12.2022	31.12.2023
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	-	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები ბანკში			
ეროვნული ვალუტის ანგარიშზე	1 231 537	1 030 789	1 101 774
ფული და ფულის ექვივალენტები ბანკში			
უცხოური ვალუტის ანგარიშზე	475 359	545 012	304 648
	<b>1 706 896</b>	<b>1 575 801</b>	<b>1 406 422</b>

#### 5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2021	31.12.2022	31.12.2023
მოთხოვნები მოსწავლეთა მიმართ	98 600	121 200	2 060 907
თანამშრომლებზე გაცემული			
საქვენგარიშო თანხები		-	7 130
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები-			
საიჯარო ქირა		-	667
თანამშრომლებზე წინსწრებით			
გადახდილი ხელფასები			-
სხვა ავანსები (საპენსიო)			16 132
მომწოდებლებისათვის გადახდილი			
ავანსები			14 769
		<b>121 200</b>	<b>2 099 605</b>

## 6. საგადასახადო აქტივი

	31.12.2021	31.12.2022	31.12.2023
გადახდილი ქონების საავანსო			24 046
საღლო ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე			11 640
			<b>35 686</b>

## 7. პირობითი საგადასახადო აქტივი

კომპანიას აქვს ორი სასამართლო პროცესი შემოსავლების სამსახურთან. ერთ დავასთან დაკავშირებით ორი ინსტანცია გავლილია. მეორე დავასთან დაკავშირებით გავლილია ველოდებით სასამართლო გადაწყვეტილებას.. ვინაიდან მეორე სარჩელიც მსგავსი ქეისია, პირველ დავასთან დაკავშირებით პირველ და მეორე ინსტანციის გადაწყვეტილების, ხოლო მეორე დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გათვალისწინებით და ასევე იურისტის მოლოდინებიდან გამომდინარე შექმნილია პირობითი ანარიცხი. რა თანხაც ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე არის არ აღიარებულ დარიცხვებში.

	31.12.2021	31.12.2022	31.12.2023
საგადასახადო პირობითი აქტივი	-	-	<b>595 643</b>

## 8. გადავადებული შემოსავლები

კომპანია მოსწავლეებისაგან მისაღებ შემოსავალს აღიარებს სასწავლო წლის დასაწყისში გადავადებულ შემოსავლად და შემდგომ ყოველთვიურად ხდება გადავადებული შემოსავლებიდან მიმდინარე პერიოდის შემოსავლად აღიარება, შესაბამისად საანგარიშგებო წლის დასაწყისში 31,12.2023 გადავადებულ შემოსავლებში აღიარებულია შემდგომი ექვსი თვის შემოსავალი, რომელიც სრულად დაიხურება ივნისის ბოლოს.

	31.12.2021	31.12.2022	31.12.2023
მოსწავლეებისაგან მისაღები გადავადებული შემოსავალი			3 238 705

## 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2022	31.12.2023
კრედიტორული დავალიანება	1 346 615	1 251 298	40 434
წინსწრებით მიღებული საიჯარო ქირა		389	-
სხვა ვალდებულება-საპენსიო			
	<b>1 346 615</b>	<b>1 251 687</b>	<b>40 434</b>

**10. საგადასახადო ვალდებულებები**

	31.12.2021	31.12.2022	31.12.2023
მიწის ქონების გადასახადი			1 582
ქონების გადასახადი გაედა მიწის			25 581
საღლო ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე		-	34 622
		-	<b>61 785</b>

**11. სესხები პარტნიორებისაგან**

	31.12.2021	31.12.2022	31.12.2023
სესხი პარტნიორისაგან		-	2 464

**მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლების და ხარჯების ანგარიშგების შენიშვნები**

**12. შემოსავლები**

	31.12.2022	31.12.2023
მოსწავლეთა შემოსავლები	4 894 332	5 227 308
სწხვა საოპერაციო შემოსავლები		9 195
	<b>4 894 332</b>	<b>5 236 504</b>

**13. მოსწავლეთა სწავლებასთან დაკავშირებული თვითირებულეების ხარჯი**

	31.12.2022	31.12.2023
ქონების საგადასახდო ხარჯი		27 163
კომუნალური ხარჯი		112 645
უსაფრთხოების ხარჯი		840
დასუფთავება სანიტარიის ხარჯი		55 838
ჯანდაცვა და უსაფრთხოება		3 847
მასწავლებლის ხელფასი		3 015 405
საპენსიო ხარჯი		24 666
პროგრამული უზრუნველყოფა		25 889
სწავლებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი		7 728
კვების ხარჯი		245 469
ტრანსპორტირება		6 879
სასკოლო ღონისძიებების ხარჯი		31 681
კომინიკაციის ხარჯი		18 701
კომპიუტერული მომსახურების ხარჯი		13 430
ცვეთის ხარჯი		35 006
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი		
		<b>3 625 187</b>

**14. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები**

	<b>31.12.2022</b>	<b>31.12.2023</b>
ადმინისტრაციის ხელფასების ხარჯი	3 110 810	1 238 833
ადმინისტრაციის საპენსიო ხარჯი		10 075
საკანცელარიო ხარჯი		42 814
წარმომადგენლობითი ხარჯი		18 591
დაზღვევა		9 092
ანიცეტი-საკონსულტაციო ხარჯი		36 445
სამეწარმეო საქმიანობის ხარჯი		42
ბანკის საკომისო		3 344
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი		35
ლაბორატორიული კვლევა და დიაგნოსტიკა		174
მოდვარი -საქველმოქმედო ხარჯი		1 980
მივლინების ხარჯები		19 904
სამართალდარღვევა, აღსრულება, ჯარიმა		1 270
საკურიერო მომსახურება		671
მცირე რემონტის ხარჯი		27 273
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	1 202 581	
	<b>4 313 391</b>	<b>1 410 542</b>

**15. სხვა სრული შემოსავალი და ხარჯები**

	<b>31.12.2022</b>	<b>31.12.2023</b>
განათლების სამინისტროს -სუბსიდია		366 525
სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი		1 476
დოკუმენტურათ დაუდასტურებელი ხარჯი		(5 471)
საქველმოქმედო ხარჯი		
	<b>-</b>	<b>362 530</b>

**16. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება  
ზარალი**

	<b>31.12.2022</b>	<b>31.12.2023</b>
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება		144 802
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი		(163 277)
		<b>(18 475)</b>

**17. მოგების გადასახადი**

	<b>31.12.2022</b>	<b>31.12.2023</b>
მოგების გადასახადი		1 334

## **18. ბალანსშემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ არ ქონია ისეთ ფაქტს ან მოვლენას ადგილი, რომლის აღნიშვნა საჭირო იქნებოდა ბალანსის შემდგომ მოვლენებში.